ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№

ქ. თბილისი
20.04.2016წ.

ერთის მხრივ **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“** (შემდგომში "შემსყიდველი") მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით და **შპს "ოფის 1"** (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გიორგი მაღრაძის სახით, მეორეს მხრივ, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის მიხედვით:

№	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1.	NF-900154 სკამი ნაჭრის ზედაპირით, მეტალის ფეხით, Ns-ISO BL-C11, შავი	39112000	10 ცალი	32.00	320.00
2.	REN-213016 საკონფერენციო მაგიდა ტყავის ჩანართით, REN-NCM.05.32/Ant. 320X120X75 სმ	39153000	1 ცალი	1440.00	1440.00
					ჯამი: 1760.00

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. საქონლის ღირებულება შეადგენს 1760.00 (ათასშვიდასსამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის გადაცემიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3. მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 02 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია „მიმწოდებლის" მაღაზია მდებარე: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა №1.

3.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საქონლის გადაცემისას შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტი.

4. საქონლის ხარისხი

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2. შესასყიდი საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. საქონელი ჩაითვლება უფლებრივად უნაკლოდ, თუ მასზე მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები მყიდველის წინააღმდეგ. ხოლო ნივთობრივად უნაკლო იქნება საქონელი, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ ხარისხსა და პირობებს და ვარგისია გამოყენებისათვის.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ გადასცემს საქონელს.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 25 მაისის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"

მის: ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის 10
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" –
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

იოსებ ოზაშვილი _____

"მიმწოდებელი"

შპს „ოფის 1"

მის: ქ.თბილისი,
ფაქტიური: ქავთარაძის №1
იურდიული: ვაჟა-ფშაველას გამზ.20
ს/კ: 204964039
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE91TB0600000360203667

გიორგი ბაღრაძე _____